

შპს ჰოა ავტო იმპორტი

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
ამონაგები	3	13,791,695	2,335,125
ამონაგების თვითღირებულება		(12,492,567)	(1,785,206)
საერთო მოგება/(ზარალი)		1,299,128	549,919
მიწოდების ხარჯები		(27,639)	(571)
პერსონალის შენახვის ხარჯები	4	(328,012)	(64,473)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები		(10,481)	(5,885)
სხვა საერთო ხარჯები	5	(157,442)	(73,515)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		775,553	405,475
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)		(4,020)	(10,724)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(9,714)	(5,750)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		761,820	389,001
მოგების გადასახადის ხარჯი		(16,347)	-
წლის სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		745,474	389,001
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		745,474	389,001

შპს ჰოა ავტო იმპორტის დირექტორი
რეზო ტაბატაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები		174,694	180,947
სულ გრძელვადიანი აქტივები		174,694	180,947
მარაგები		803,634	430,843
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		3,592,334	3,364,069
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	359,871	32,169
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,755,840	3,827,080
სულ აქტივები		4,930,533	4,008,027
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		6,139	6,139
გაუნაწილებელი მოგება		1,035,664	382,862
სულ საკუთარი კაპიტალი		1,041,804	389,002
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		3,888,729	3,506,636
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	112,390
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,888,729	3,619,025
სულ ვალდებულებები		3,888,729	3,619,025
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,930,533	4,008,027

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,139	382,862	389,002
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	745,474	745,474
საწესდებო კაპიტალის ცვლილება დივიდენდები	-	-	-
	-	(92,672)	(92,672)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,139	1,035,664	1,041,804

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. კორპორატიული სტრუქტურა და ძირითადი საქმიანობა

შპს ჰოა ავტო იმპორტი დაფუძნდა 2021 წლის 28 აპრილს, საიდენტიფიკაციო კოდი: 433108406, მარეგისტრირებული ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, საირმის ქუჩა, N5, კომერციული ფართი N2.

კომპანია წილები შემდეგნაირად ნაწილდება:

რეზო ტაბატაძე, 25001038018 – 50%

იოსები ჭანკოტაძე, 01001039299 – 50%

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა მსუბუქი ავტომობილების იმპორტი და რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს

თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებული. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

3. ამონაგები მოიცავს რეალიზებული ავტომობილების ღირებულებას.

4. პერსონალის შენახვის ხარჯები მოიცავს თანამშრომლებისთვის გადახდილ გასამრჯელოს.

5. სხვა საერთო ხარჯები

	2023	2022
HR მომსახურება	672	1,056
სამეურნეო ხარჯი	2,821	1,691
თარგმანის მომსახურება	282	-
კომუნალური ხარჯი	4,382	3,653
კომუნიკაციის ხარჯები	4,432	3,711
დამღვევა	8,599	-
სხვა	7,208	7,943
ბანკის საკომისიო	61,223	34,314
მარალის ანაზღაურება	20,887	9,711
საპენსიო შენატანის ხარჯი	6,589	1,354
არარეზიდენტის მომსახურება	38,569	7,230
ქონების გადასახადის ხარჯი	1,776	959
საიჯარო ქირა	-	1,894
	<u>157,442</u>	<u>73,515</u>

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები წარმოადგენს საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად ნაშთებს, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 359,871 ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 32,169 ლარს.

8. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2024 წლის 30 სექტემბერს.